MES 9 21 0000490756

27/05/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 29.04.2020
სხდომის დაწყების დრო: 11:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:30 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე- ჯიშკარიანი (I, II)
სხდომის თავმჯდომარე: ნიკა თიკანაშვილი (III)
სხდომის თავმჯდომარე: ნინო იმნაძე (IV,V)
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ნინო იმნაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

3. მარიამ შენგელია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
5. ელენე ჟურავლოვა - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. გაიოზ ფარცხალაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
7. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
8. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
9. გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
11. დიანა მჭედლიშვილი - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
12. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
13. თამარ ჩხეიძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
14. თეონა მატარაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
15. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
16. ანზორ ბერიძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	ქეთევან ინანაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი		სტატუსი	საკითხი

		საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება		
1.	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**I,** II, III
2.	თამარ ლომინაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი	**I,** II, III
3.	ქეთევან კოტეტიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**I,** II, III
4.	მედეა თევდორაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმატიკა“ ხელმძღვანელი	**I,** II, III
5.	თინათინ კაიშაური	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმატიკა“ ხელმძღვანელი	**I,** II, III
6.	ლილი პეტრიაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმატიკა“ ხელმძღვანელი	**I,** II, III
7.	ნუგზარ ამილახვარი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმატიკა“ ხელმძღვანელი	**I,** II, III
8.	გია სურგულაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმატიკა“ ხელმძღვანელი	**I,** II, III
9.	ხათუნა მხეიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	**I,** II, III
10.	ნანული დანელია	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	**I,** II, III
11.	დავით თარხნიშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი		IV

			პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანი	
12.	ზურაბ ჯავახიშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და მედიცინის ფაკულტეტი	IV
13.	ლარს დრიოსლერი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფერორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და მედიცინის ფაკულტეტი	IV
14.	ვასილ მეტრეველი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მკვლევარი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და მედიცინის ფაკულტეტი	IV
15.	ნინო ჟვანია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველოყოფის სამსახურის უფროსი	IV
16.	ვახტანგ ლეჟავა	შპს თავისუფალი უნივერსიტეტი	რექტორი	V
17.	ნათია სამუშია	შპს თავისუფალი უნივერსიტეტი	პრო-რექტორი	V
18.	მარინა ქარჩავა	შპს თავისუფალი უნივერსიტეტი	პრო-რექტორი	V
19.	ანკა თაბუკაშვილი	შპს თავისუფალი უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	V
20.	მარიამ გაბუნია	შპს თავისუფალი უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი	V
21.	თამუნა გეგეშიძე	შპს თავისუფალი უნივერსიტეტი	აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი	V
22.	თეა ოდიშვილი	შპს თავისუფალი უნივერსიტეტი	ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი	V
23.	მარიამ ჯაფარიძე	შპს თავისუფალი უნივერსიტეტი	საერთშორისო ურთიერთობების კოორდინატორი	V
24.	ნუცა ბათიაშვილი	შპს თავისუფალი უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	V
25.	ლანა გაბრიაძე	შპს თავისუფალი უნივერსიტეტი	პროგრამის კოორდინატორი	V
26.	ალექსანდრე მოსიძე	შპს თავისუფალი უნივერსიტეტი	ლექტორი	V
27.	ლაშა მაშიაშვილი	შპს თავისუფალი უნივერსიტეტი	ლექტორი	V
28.	ნიკოლოზ ალექსიძე	შპს თავისუფალი უნივერსიტეტი	ლექტორი	V
29.	ნინო ჟღენტი		ლექტორი	V

		შპს თავისუფალი უნივერსიტეტი		

აკრედიტაციის ექპერტები:

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	რუსუდან სანაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I , II, III
2	მიხეილ რუხაია	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II, III
3	ოთარ ქირია	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II, III
4	ოლანი გოცირიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
5	ეკატერინე ფირცხალავა	(ჩაერთო „ზუმით“)	V
6	გიორგი თავაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
7	დავით გეგეჭკორი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
8	მარინა ჩავლეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “ინფორმატიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “ინფორმატიკის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “ინფორმატიკის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის - ,,ბუნების დაცვა და მეტყევეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. შპს თავისუფალი უნივერსიტეტის ,,სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “ინფორმატიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “ინფორმატიკის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “ინფორმატიკის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის - ,,ბუნების დაცვა და მეტყევეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. შპს თავისუფალი უნივერსიტეტის ,,სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1.პირველი საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “ინფორმატიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმატიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28.09 .2012 გადაწყვეტილება N 464
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ინფორმატიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმატიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	სასწავლო კორპუსი N6, მ.კოსტავას ქ. N77, თბილისი, 0175, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს - დავით კაპანაძემ, ნინო იმნაძემ და ელიზბარ ელიზბარაშვილმა.

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქვეყანაში COVID-19 პანდემიით გამოწვეული მდგომარეობიდან გამომდინარე, აკრედიტაციის ვიზიტი სრულიად დისტანციურ რეჟიმში წარიმართა. არსებული რეალობის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფს და ინსტიტუციის წარმომადგენლებს, განსაკუთრებულ მდგომარეობაში უწევდა მუშაობა. ელექტრონული ფორმატით ჩატარებული გასაუბრებები, სრულად ვერ გადმოსცემდა იმ ემოციურ მუხტს და ასახავდა გარემო პირობებს, რომელიც ინსტიტუციაში სუფევს. ამასთან აკრედიტაციის პროცესი, ორ დღიანი იყო და მოიცავდა როგორც საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციას. რასაც თავისი დადებითი და უარყოფითი ფაქტორები ახლდა თან - უდავოდ დადებითი იყო, რომ ამგვარმა ფორმატმა პროგრამის შინაარსზე დინამიკაში დაკვირვების საშუალება მისცა ექსპერტებს და ცალსახად ჩანდა საფეხურებს შორის ბმისა თუ კვეთის წერტილები. თუმცა, დროის სიმცირე და ელექტრონული ფორმატი გარკვეულწილად შემზღუდავ ფაქტორებად შეიძლება განხილულიყო, მეტადრე ზოგიერთი სტანდარტის შესამოწმებლად ერთი შეხვედრა იყო ჩანიშნული სამივე პროგრამისათვის. აკრედიტაციის პროცესი ეთიკური ნორმების დაცვით, კოლეგიალურ და მეგობრულ გარემოში მიმდინარეობდა.
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. სამიზნე ნიშნულების ცხადად დადგენა და შესრულების მონიტორინგი;
2. თანახელმძღვანელების/კოორდინატორების გამოყოფა კონცენტრაციების მიხედვით.

3. დაკორექტირდეს „ხელოვნური ინტელექტი ვებ-საიტებში“ სილაბუსი, რომ მიზნები, შედეგები და შინაარსი თანხვედრაში მოვიდეს კურსის დასახელებასთან.
4. დაკორექტირდეს „მობილური აპლიკაციების დაპროგრამება Android-თვის“ სილაბუსი, რომ აღმოიფხვრას თანაკვეთა სხვა კურსის თემებთან.
5. სასწავლო კურსებში „ფიზიკა1“, „ფიზიკა2“ და „ფიზიკა3“ დავალებების შეფასებები განაწილდეს სემესტრის განმავლობაში.
6. კურსებში: ოპერაციული სისტემების საფუძვლები, კომპიუტერული სისტემების არქიტექტურის საფუძვლები, კომპიუტერის სტრუქტურული ორგანიზება, ინტელექტუალური სენსორები, მიკროკონტროლერების არქიტექტურა, ღრუბლოვანი და გრიდ-ტექნოლოგიები, ჩაშენებული სისტემები, კომპიუტერული სიმულაცია - დამხმარე ლიტერატურაში რუსულენოვანი წიგნები ჩანაცვლდეს ინგლისურენოვანი წიგნებით.
7. კურსში „ინტელექტუალური სენსორები“ განახლდეს დამატებითი ლიტერატურა.
8. კურსი „სისტემური პროგრამული უზრუნველყოფა“ გასწორდეს სრულად.
9. კურსში „სი„შესავალი კონტროლერებში“ შეიცვალოს გამოყენებული სისტემები და ლიტერატურა.
10. კურსში „აუდიო-ვიდეო ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგია“ განახლდეს და გასწორდეს ლიტერატურა კურსის საკითხების შესაბამისად.
11. კურსში „განაწილებული და პარალელური გამოთვლები“ ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს კურსის წინაპირობა, საკითხები და ლიტერატურა.
12. კურსში „გეოსაინფორმაციო სისტემები“ ძირითად ლიტერატურად შეირჩეს გეოსაინფორმაციო სისტემების საფუძველთან დაკავშირებული ლიტერატურა. ასევე მიეთითოს, რომელი პროგრამა გამოიყენება პრაქტიკული სამუშაოების შესასრულებლად.
13. კურსში „კომპიუტერული ხედვა“ ჩასწორდეს კურსის მიზნები. ასევე ჩასწორდეს კურსის სწავლის შედეგები ან შეიცვალოს კურსის შინაარსი ისე, რომ არსებული სწავლის შედეგები იყოს მიღწევადი.
14. კურსებში „დიდი მონაცემების მართვა“, „ღრუბლოვანი და გრიდ-ტექნოლოგიები“, „ბლოკჩეინი და მისი გამოყენებები“ დაზუსტდე, რას მოიცავს პრაქტიკული დავალებები.
15. კურსში „რობოტიქსი“ ლაბორატორიული სამუშაოები შესრულდეს საბაკალვრო დონის სისტემებზე.
16. კურსში „ბლოკჩეინი და კრიპტოვალუტა“ დაემატოს კურსის საკითხებთან დაკავშირებული ძირითადი ლიტერატურა. გნალების ციფრული დამუშავება“ მიეთითოს, რა პროგრამა გამოიყენება სიგნალების დამუშავებისთვის პრაქტიკულ დავალებებში.
17. კურსში „ზოგადი ელექტრონიკა“ დაემატოს ლაბორატორიული სამუშაოს შეფასება.
18. კურსში „მულტიმედია ტექნოლოგიების საფუძვლები“ პრაქტიკული ნაწილი მოვიდეს თეორიულ ნაწილთან შესაბამისობაში.
19. დაკორექტირდეს ცალკეულ კურსებში დაშვების წინაპირობები ამ კურსების შინაარსის შესაბამისად.
20. მენეჯმენტის სქემის დახვეწა: პროგრამა საკმაოდ მოცულობითია და პროგრამის ხელმძღვანელს, სასურველია ჰყავდეს მაგ. მოდულების/კონცენტრაციების მიხევდით თანახელმძღვანელები-სამიზნე ნიშნულების დადგენა და მონიტორინგი
21. მოტივაციის სქემის შემუშავება:-აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის, სტუდენტებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამას „ინფორმატიკა“ აქვს სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი. ამ ეტაპზე მათ მიერ სამიზნე ნიშნულები წარმოდგენილი იყო „უმაღლესი

საგან-მანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანე-ლოს“ და „პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისა და შეფასების მეთოლოგიის“ შესაბამისად, მისი თქმით, ეს დოკუმენტი ვიზიტის დროს, მოთხოვნისთანავე წარედგინათ ექსპერტებს. აღნიშნული დოკუმენტიდან ჩანს, რომ სამიზნე ნიშნულების შეფასების მეთოდოლოგია შემუშავებულია და დაკავშირებულია საბაკალავრო პროექტის შეფასების შედეგებთან. აქედან გამომდინარე შეფასება ტარდება წელიწადში ერთხელ.
რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, პროგრამის შემუშავების დროს იყო გათვალისწინებული პროგრამის სირთულე და მოცულობა, მასში შემოღებული სასწავლო კურსების ჯგუფების რაოდენობა. აქედან გამომდინარე, იყო გამოყოფილი პროფესორები, რომლებიც უწევდენ კოორდინაციას პროგრამაში არსებულ კურსების ჯგუფებზე და შესაბამისად, კონცენტარციებზე მუშაობას, ეს პროფესორები უმრავლეს შემთხვევაში ამავდორულად არიან თვითშეფასების ჯგუფის წევრები. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული მიიღებს ფორმალური თვალსაზრისით ოფიციალურ სახეს. დაწესებულება ასევე აქტიურად მუშაობს მე-3 და მე-4 რეკომენდაციაზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა სასწავლო კურსების წინაპირობებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ, სასწავლო კურსების წინაპირობებში გაპარული ტექნიკური უზუსტობები გასწორებულია. ამასთან, ზოგიერთ შენიშვნასთან მიმართებით, დაწესებულება მიიჩნევს, რომ რედაქცია უნდა დარჩეს უცვლელად. მაგ.: კურსების: მულტიპარადიგმული დაპროგრამების საფუძვლები Python ენის ბაზაზე/ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება და აპლიკაციები (Python-ის ბაზაზე) - წინა საგნების წინაპირობას წარმოადგენს კურსი „დაპროგრამების საფუძვლები“, რომელიც ისწავლება c++-ენის საფუძველზე. კურსი „კომპიუტერული ხედვა’’ შეისწავლის ციფრული გამოსახულებების ანალიზის საკითხებს. კერძოდ: ობიექტების გამოყოფას გამოსახულებაზე, მათი საზღვრების დადგენას, ობიექტების ფორმის წარმოდგენას და აღწერას, ობიექტების ამოცნობას, ასევე დინამიური სცენაზე მოძრავი ობიექტების თვალთვალს. ამ შემთხვევაში კომპიუტერულ ხედვას კავშირი არ აქვს სიგნალების დამუშავებასთან. სასწავლო კურსში „რობოტიქსი“ - განხილულია საჭირო სენსორების საკითხები, ამდენად დაწესებულება მიიჩნევს, რომ დამატებითი წინაპირობა საჭირო არ არის.
მნიშვნელოვანია ასევე მე-5 რეკომენდაცია, სასწავლო კურსებში „ფიზიკა1“, „ფიზიკა2“ და „ფიზიკა3“ დავალებების შეფასებები გადანაწილებულია მთელი სემესტრის განმავლობაში. სტუდენტების მიმდინარე აქტივობაა 30 ქულა, რაც მოიცავს 5 ლაბორატორიული სამუშაოს ჩატარებას და 5 ტესტირებას ღია ან დახურული კითხვებით. ტესტირება ტარდება ყოველ მეორე, მეხუთე, მერვე, მეთორმეტე და მეთხუთმეტე კვირას, ხოლო ლაბორატორიული სამუშაოს ჩაბარება ხდება ყოველ მესამე, მეექვსე, მეათე, მეცამეტე და მეთექვსმეტე კვირას. შესაბამისი მონაცემები აისახება სტუდენტის ელექტრონული მოსწრების ბაზაში ყოველკვირეულად. მეცხრე კვირაში ტარდება შუასემესტრული გამოცდა. სემეტრის ბოლოს ხდება ყველა ჩაბარებული დავალების მონიშვნა შეფასების ელექტრონულ ბაზაში.
მისი განმარტებით, დაწესებულება აქტიურად მუშოაბს ლიტერატურისა და სილაბუსების განახლებასა და დაზუსტებაზე ექსპერტების რეკომენდაციების შესაბამისად. აქედან გამოდინარე საკითხთან დაკავშრებული რიგი რეკომენდაციები უკვე შესრულდა.
რაც შეეხება მოტივაციის სქემის შემუშავებს, დაწესებულების აკადემიურ პერსონალს 17% -ით მოემატა ანაზღაურება. ინსტიტუციას ასევე აქვს გარკვეული შესაძლებლობები კვლევითი საქმიანობის წახალისების მიზნით, კერძოდ ნაშრომების ჟურნალებში გამოქვეყნებისა და კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში განხილული არის საკითხები, რომლებიც უშუალოდ ეხება პროგრამირებას, როგორიცაა მაგალითად მობილური აპლიკაციები, რომლებიც თანამედროვე სამყაროში საკმაოდ

მნიშვნელოვანია. შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ხდება თუ არა სრულყოფილად მოცემული პროგრამების შესწავლა და შესაბამის შედეგზე გასვლა.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ იზიარებს დაწესებულების წარმომადგენლების პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ რეკომენდაციების უმეტესობა რჩევითი ხასიათისაა. შესაბამისად, უმჯობესი იქნებოდა რეკომენდაციები დაყოფილიყო კატეგორიებად. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებს განემარტათ თუ რამდენ კატეგორიად იქნებოდა შესაძლებელი რეკომენდაციების დაჯგუფება.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ აღნიშნა, რომ ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა საკმაოდ შთამბეჭდავია. გარდა ამისა, პროგრამის მიხედვით გათვალისწინებულია საწარმოო პრაქტიკა, შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამდენ ორგანიზაციასთან თანამშრომლობს დაწესებულება და არის თუ არა ეს რაოდენობა საკმარისი აღნიშნული 400 სტუდენტისთვის პრაქტიკის უზრუნველსაყოფად.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შესაბამისი შრომის ბაზრის კვლევა. რაც შეეხება ბიუჯეტს, პროგრამა და მისი მდგრადობა ეჭვს არ იწვევს, შესაბამისად ბიუჯეტიც მოცემულია სტანდარტულად, თუმცა უმჯობესი იქნებოდა თუ ბიუჯეტში მოცემული იქნებოდა ასევე დანახარჯები, რადგან, მატერიალურ რესურსს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს პროგრამის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების კატეგორიზაცია გემოვნების საკითხია. შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლებელია სამი ძირითადი კატეგორიის გამოყოფა, თუმცა მოცემული წარმოადგენს მსჯელობის საგანს. აღნიშნული კატეგორიებია: მიღების წინაპირობასთან დაკავშირებული საკითხები; შინაარსთან დაკავშირებული საკითხები და მენეჯმენტის საკითხები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსი არის ულტრა თანამედროვე. დაწესებულის მიერ უზრუნველყოფილია ყველა ის რესურსი რაც პროგრამას ამჯამად სჭირდება და დასჭირდება მომავალში. ამ მიმართულებით გამოყოფილია ასევე ფინანსური რესურსიც.
რაც შეეხება პრაქტიკის უზრუნველყოფას, დაწესებულების წარმომადგენლის განმართებით, მოცემული მიმართულებით არასდროს წარმოქმნილა პრობლემა. ინსტიტუციას გაფორმებული აქვს რიგი მემორანდუმები სხვადსხვა ორგანიზაციებთან, რაც წარმოადგენს უწყვეტ პროცესს, შესაბამისად დაწესებულება მუდმივად ღიაა თანამშრომლობისთვის.
მნიშვნელოვანია ასევე, რომ პროგრამირების საგნების სწავლება პროგრამის ფარგლებში ხდება რამდენიმე სემესტრის განმავლობაში, კერძოდ ,,დაპროგარმების საფუძვლები", ,,მონაცემთა სტრუქტურები და ალგორითმები", ,,ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება" და ,,ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება და აპლიკაციები", რომელთა ფარგლებშიც სტუდენტი მუშაობს მონაცემთა ბაზისა დ აპლიკაციის შექმნაზე. სასწავლო კურსების მოიცავს ასევე ჯგუფურ საკურსო პროექტებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 11:55
დასრულების დრო: 12:15

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და დააჯგუფა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები. საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:

- სამიზნე ნიშნულების ცხადად დადგენა (გეგმის და შესაბამისი ამოცანების წარმოება) და შესრულების მონიტორინგი და გაუმჯობესების გზების დასახვა;
- თანახელმძღვანელების/კოორდინატორების გამოყოფა კონცენტრაციების მიხედვით;
- დარეკორექტირდეს რიგი სასწავლო კურსების სილებუსები (დეტალური ინფორმატია იხილეთ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში);
- განახლდეს რიგ სასწავლო კურსებში სასწავლო ლიტერატურა ((დეტალური ინფორმატია იხილეთ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში);

- მენეჯმენტის სქემის დახვეწა: - პროგრამა საკმაოდ მოცულობითია და პროგრამის ხელმძღვანელს, სასურველია ჰყავდეს მაგ. მოდულების/კონცენტრაციების მიხევდით თანახელმძღვანელები - სამიზნე ნიშნულების დადგენა და მონიტორინგი;
- მოტივაციის სქემის შემუშავება: აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის - სტუდენტებისათვის.

რჩევები:

- მიზნებში უფრო ცხადად გაიწეროს პროგრამის მნიშვნელობა და საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილის ელემენტები;
- განისაზღვროს დამატებითი ზღვარი ეროვნულ გამოცდებში მათემატიკის კომპტენციისთვის;
- გადაიხედოს ყველა კურსი (არა მხოლოდ ჩამოთვლილი მაგალითები) და შევიდეს შესაბამისი შესწორებები. კურსების გადახედვა შეიძლება მოხდეს კოლეგების მიერ (ე.წ. peer review);
- ბაზრის მოთხოვნებიდან და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია სასწავლო კურსების პროექტების ნაწილში ხორციელდებოდეს ჯგუფური აქტივობები და ხდებოდეს მათი შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 6 თვეში რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების

შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 11 ხმით არცერთის წინააღმდეგ, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 6 თვეში რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

12:30 სთ-ზე სხდომას შემოუერთდა ანზორ ბერიძე.

2. მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმატიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28.09.2012 გადაწყვეტილება N 474
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ინფორმატიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმატიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	სასწავლო კორპუსი N6, მ.კოსტავას ქ. N77, თბილისი, 0175, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს: დავით კაპანაძემ, ნინო იმნაძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა.

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქვეყანაში COVID-19 პანდემიით გამოწვეული მდგომარეობიდან გამომდინარე, აკრედიტაციის ვიზიტი სრულიად დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობდა. არსებული რეალობის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფს და ინსტიტუციის წარმომადგენლებს, განსაკუთრებულ მდგომარეობაში უწევდათ მუშაობა. ელექტრონული ფორმატით ჩატარებული გასაუბრებები, სრულად ვერ გადმოსცემდა იმ ემოციურ მუხტს და ასახავდა გარემო პირობებს, რომელიც ინსტიტუციაში სუფევს. ამასთან აკრედიტაციის პროცესი, ორ დღიანი იყო და მოიცავდა როგორც საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციას, რასაც თავისი დადებითი და უარყოფითი ფაქტორები ახლდა თან - უდავოდ დადებითი იყო, რომ ამგვარმა ფორმატმა პროგრამის შინაარსზე დინამიკაში დაკვირვების საშუალება მისცა ჯგუფს და ცალსახად ჩანდა საფეხურებს შორის ბმისა თუ კვეთის წერტილები, თუმცა დროის სიმცირე და ელექტრონული ფორმატი გარკვეულწილად შემზღუდავ ფაქტორებად შეიძლება განხილულიყო, მეტადრე ზოგიერთი სტანდარტის შესამოწმებლად ერთი შეხვედრა იყო ჩანიშნული სამივე პროგრამისათვის. აკრედიტაციის პროცესი ეთიკური ნორმების დაცვით, კოლეგიალურ და მეგობრულ გარემოში მიმდინარეობდა.
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შემდეგნაირად შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. მიზანშეწონილია გაიწეროს კონცენტრაციების მიხედვით ცალ-ცალკე შედეგები;
2. დაშვების წინაპირობებს დაემატოს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის მოთხოვნა;
3. დეტალურად გაიწეროს ცალკეულ კურსებში დაშვების წინაპირობები, ბმები სხვა კურსებთან ამ კურსების შინაარსის შესაბამისად.

4. დაკორექტირდეს კონკრეტული სილაბუსები, რომ მათი შინაარსი და სწავლის შედეგები მოვიდეს თანხვედრაში მაგისტრატურის საფეხურის შესაბამისად - რეკომენდაცია მოიცავს მაგრამ შემოიფარგლება აღწერით ნაწილში მოხსენიებული კურსებით
5. კურსში „სისტემური ანალიზი და სინერგეტიკა“ დაზუსტდეს პრაქტიკული დავალებების თემატიკა.
6. კურსებში „ციფრულ გამოსახულებათა დამუშავება და ანალიზი“ და „მულტიმედია სისტემები, ალგორითმები და სტანდარტები“ შეირჩეს სრულყოფილი სახელმძღვანელო ძირითად ლიტერატურად.
7. კურსის „კომპიუტერული თამაშების პროექტირება და აგება“ დაზუსტდეს მიზანი და შეირჩეს შესაბამისი ლიტერატურა.
8. განახლდეს კურსები „მულტიმედიური ტექნოლოგიები 1“ და „მულტიმედიური ტექნოლოგიები 2“ თანამედროვე სისტემებით და სრულად შეიცვალოს სილაბუსი;
9. კონცენტრაციების მიხედვით, სასურველია ხაზგასმული იყოს სალაბორატორიულო სამუშაოების თავისებურებები.
10. ბიბლიოთეკაში წიგნების აღრიცხვის პროცედურის გავრცელება, განახლება და მონიტორინგი
11. სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურის გადახედვა - მათი საბიბლიოთეკო რესურსში შემოწმება.
12. სტუდენტთა ლაბორატორიებში დაშვების გრაფიკების წარმოება - კალენდარული აღრიცხვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ საგანმანთლებლო პროგრამაში კონცენტრაციის არსებობისა და მისი სწავლის შედეგების საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით. აღნიშნულ კანონქვემდებარე აქტში მოცემული სამართლებრივი ნორმა (მუხლი 6. პუნქტი 7) ამომწურავად განსაზღვრავს უნივერსიტეტის მიერ დასაცავ რამოდენიმე პირობას: კონცენტრაცი(ებ)ის გათვალისწინება შესაძლებელია მხოლოდ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში; 2. 3. 4. 5. კონცენტრაცია გულისხმობს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/საგნების/მოდულების დაჯგუფებას კონკრეტულ თემაზე/საკითხზე ფოკუსირებით; კონცენტრაციას აქვს სწავლის შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში; საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაციის არსებობა არ ცვლის ამ პროგრამის სწავლის სფეროს ან/და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაცია უნდა ითვალისწინებდეს არაუმეტეს 30 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით, ხოლო მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში – არანაკლებ პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობის 50%-ს.“ ხელახალი აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი „ინფორმატიკის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა ზედმიწევნით აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პირობებს ცალ-ცალკე და მთლიანობაშიც და შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით რაიმე სახის ნაკლოვანების მითითება იქნება არამართებული. რაც შეეხება საკითხის განსჯას მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით, რაც ერთმნიშვნელოვნად ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. უნივერსიტეტმა, ხსენებული საკანონმდებლო სიახლის - კონცენტრაციის საგანმანათლებლო პროგრამების სტუქტურებში ასახვისას, აკადემიური თავისუფლების სრული აღიარებით, გაითვალისწინა, როგორც ზემოაღნიშნული საკანონმდებლო მოთხოვნები, ასევე წარმატებული და ხარისხის მაღალი სტანდარტის დასტურის მქონე საგანმანათლებლო პროგრამების გამოცდილება. გარდა

ზემოაღნიშნულისა, მაგისტრანტები წინასწარ ინფორმირებულნი არიან თითოეული კონცენტრაციის შინაარსის და იმ კომპეტენციების შესახებ, რომელსაც განივითარებს სტუდენტი კონცენტრაციის გავლის შედეგად. მაგისტრანტების მიერ კონცენტრაციების არჩევის პროცედურა ხორციელდება ელექტრონულად, სტუდენტის თავისუფალი ნების გამოვლენით და გამჭვირვალე პროცედურით. ყველაფრის გათვალისწინებით, უნივერსიტეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს, შენარჩუნდეს პროგრამაში წარმოდგენილი დამოკიდებულება კონცენტრაციების სწავლის შედეგების ასახვასთან დაკავშირებით პროგრამის სწავლის შედეგებში. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტის პოზიციაა, რომ კონცენტრაცი(ებ)ის სწავლის შედეგ(ებ)ის ასახვა საგანმანათლებლო პროგრამაში, როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით, „ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში, ქვესტანდარტი 2.1-ის ფარგლებში მითითებულია, რომ არ არის მოთხოვნილი ინგლისური ენის B2 კომპეტენცია. მისაღებია ექსპერტთა აზრი, რომ თანამედროვე სამეცნიერო საზოგადოებაში, სადაც ძირითადად პუბლიკაციების ენა არის ინგლისური, წარმოუდგენელია ხარისხიანი ნაშრომის შემუშავება ამ ენის ცოდნის გარეშე. უნივერსიტეტის პოზიციაა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, გარდა არსებულისა, დაემატოს უცხოური ენის B2 დონეზე ცოდნის მოთხოვნა. კერძოდ, აპლიკანტს უნდა გააჩნდეს უცხოური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი არანაკლებ B2 დონისა, ან უნდა ქონდეს წარმოდგენილი B2 დონის შესაბამისი სასწავლო კურსის გავლის დოკუმენტი. მსგავსი სერტიფიკატის ან სხვა ანალოგიური დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში აპლიკანტი გაივლის გასაუბრებას უცხოურ ენაში. სრულად გაზიარებულია ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებები და განხორციელებულია შესაბამისი ღონისძიებები.

დაწესებულების მიერ მოხდა სილაბუსების გადახედვა, ლიტერატურის განახლება და დახვეწა, ასევე აღმოიფხვრა გადაფარვის საკითხები სილაბუსებს შორის. შესაბამისად, დაწესებულებამ სრულიად გაიზიარა სილაბუსებთან დაკავშირებული რეკომენდაციების და მოახდინა აუცილებელი ცვლილებების გატარება.

რაც შეეხება მე-10 რეკომენდაციას, სტუ-ის ბიბლიოთეკა მუდმივად იძენს ახალ სახელმძღვანლოებს, სპეციალურ ლიტერატურას, მათ შორის უცხოურს. ბიბლიოთეკაში შესაძლებელია ასევე სახელმძღვანელოების ელექტონული ვერსიის ჩაბარებაც. სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსიის ბიბლიოთეკაში ჩაბარების პროცედურა მარტივია. პროფესორ-მასწავლებლები სარგებლობენ აღნიშნული სერვისით. სასწავლო კურსის "მობილური აპლიკაციების დაპროექტება android ოპერაციული სისტემისთვის" ძირითად ლიტერატურაში მიეთითა ახალი სახელმძღვანელოები, რომელთა ელექტრონული ვერსიები ჩაბარდა სტუ-ის ბიბლიოთეკას. ექსპერტთა დასკვნაში მითითებული ორი ინგლისრენოვანი სახელმძღვანელო გადატანილ იქნა დამხმარე ლიტერატურაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა მე-11 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის რეაკრედიტაციის პროცესში განახლდა არსებული ლიტერატურა და დაემატა ახალი სახელმძღვანელოებიც. ძირითად ლიტერატურაში სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოთხოვნაა სასწავლო კურსის სილბუსში ძირითად ლიტერატურაში მითითებული იქნას სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკის კოდები. ექსპერტთა დასკვნის მიღების შემდეგ კიდევ ერთხელ გადიხედა ბიბლოთეკაში არსებული სახელმძღვანელოების რესურსი.

აღსანიშნავია ასევე მე-12 რეკომენდაცია, კერძოდ სტუდენტთა დაშვება ლაბორატორიებში ხდება სასწავლო ცხრილის მიხედვით. ცხრილი განთავსებულია სტუ-ის საიტზე, სადაც ნათლად ჩანს პრაქტიკული/ლაბორატორიის ჩატარების ადგილი და დრო. კალენდარულ აღრიცხვას აწარმოებს კურსის წამყვანი პროფესორი თავის ლაბორანტთან ერთად. აქედან გამომდინარე, წინამდებარე რეკომენდაციის სტატუსი შედეგობრივად- „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.“

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში უმჯობესი იქნებოდა მეტი ორგანიზაციის გამოკითხვა. რაც შეეხება ბიუჯეტს, პროგრამა და მისი მდგრადობა ეჭვს არ იწვევს, შესაბამისად ბიუჯეტიც მოცემულია სტანდარტულად, თუმცა საუბდნა ხდება კვლევითი საქმიანოის დაფინანსება და ხელშეწყობა არ არის მოცემული.
საბჭოს წევრმა ელენე ჟურავლოვამ ისაუბრა ენის წინაპირობის საკითხზე და აღნიშნა, რომ ექსპერტთა რეკომენდაციის მიხედვით განისაზღვრა ინგლისური B2, თუმცა დაწესებულებას არგუმენტირებულ პოზიციაში მითითებული აქვს რომ დაემატება უცხო ენა B2 დონე. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა რამდენად პრინციპული მნიშვნელობის არის მოცემული პროგრამისთვის ინგლისური ენა.
საბჭოს წევრა, გაიოზ ფარცხალაძემ დააზუსტა სამაგისტრო ნაშრომებში მოცემულია განვლილი კურსების შეჯამება, თუ მხოლოთ კვლევითი ნაწილი არის განსაზღვრული.
საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ აღწერილობით ნაწილში 3.2 კომპონენტში მოცემულია, რომ მაგისტრანტთა ოდენობა გასაუბრების დროს მხოლოდ გაკვრით იქნა აღნიშნული. შესაბამისად საბჭოს წევრმა სთხოვა ექპსერტებს განემარტათ თუ როგორი იყო მაგისტრანტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა და რამდენად უზრუნველყფს აღნიშნული თანაფარდობა სამაგისტრო ნაშრომით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა კონცენტრაცების შედეგები და განმარტა, რომ აღნიშნული მხოლოდ სტუდენტებისთვის არ არის მნიშვნელოვანი, ვინაიდან რეალურად პროგრამაზე მომუშავე გუნდმა ასევე უნდა იმუშავოს შედეგების მიღწევის საკითხზეც. შესაბამისად უმჯობესია პროგრამაშიც ნათლად იყოს მოცემული თუ რომელი კონცენტრაცია რა შედეგზე გადის.
საბჭოს წევრმა ასევე ისაუბრა კვლევით კომპონენტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამის მიხედვით განსაზღვრული თეორიულ-ექსპერიმენტული კვლევა, კოლოქვიუმი, რომელიც მოიცავს 10 კრედიტს და ცალკე არის განსაზღვრული სამაგისტრო ნაშრომი. შესაბამისად, მან დააზუსტა თუ რამდენად არის მოცემული კოლოქვიუმი კავშირში სამაგისტრო ნაშრომთან. ასევე დაინტერესდა თუ როგორ ხდება კოლოქვიუმის შეფასება.
საბჭოს წევრი, თეონა მატარაძე დაინტერესდა თუ რა კრიტერიუმებით იქნა შერჩეული ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი სამაგისტრო ნაშრომები. ასევე საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ტექსტებში არ იქნა გამოყენებული ციტირება, მოცემული იყო მხოლოდ ბიბლიოგრაფიაში. ნაშრომებში გამოყნებული იყო რუსული ლიტერატურა და ლინკები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამებოდა ნაშრომის შინაარსსს. ტენდენცია შეინიშნებოდა ასევე ვიკიპედიის, როგორც წყაროს მითითებისა.
საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ 2016 წლის და უფრო ძველ ნაშრმებში მოცემულია ორი შეფასება, შესაბამისად მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის განმარტებისკენ. გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ ნაშრომის სახელწოდება ხშირ შემთხვევებში საკმაოდ ზოგადია და არ იძლევა იმის დადგენის შესაძლებლობას, თუ რომელ დარგს მიეკუთნება.
საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ სთხოვა ექსპერტებს შეეფასებინათ ნაშრომების როგორც შინაარსობრივი ასევე გაფორმების მხარე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა ინგლისურ ენასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებითი მნიშვნელობა აქვს სწორედ რომ ინგლისურ ენას და არა სხვა რომელიმე უცხო ენას. დარგობრივი ლიტერატურა ძირითადად ქვეყნდება ინგლისურად, შესაბამისად აუცილებელია მოცემული ენის ცოდნა. ექსპერტთა პოზიცია გამომდინარეობს სწორედ დარგის სპეციფიკიდან.

რაც შეეხება ხელმძღვანელების თანაფარდობას, დაწესებულებას ჰყავს საკმაოდ გამოცდილი ექსპერტები, გარდა ამისა აკადემიურ პერსონალსაც შეუძლია გახდეს ნაშრომის ხელმძღვანელი, შესაბამისად რაოდენობასთან დაკავშირებით არ არსებობს პრობლემები. ინტერვიუების შედეგად დადგინდა ასევე თუ როგორ ხდება სტუდენტების შერჩევა ხელმძღვანელების მიერ. ძირითად შემთხვევაში ყურადღება ექცევა საერთო ინტერესებს, კომპეტენციასა და პირად კონტაქტებს.

მნიშვნელოვანია ასევე სამაგისტრო ნაშრომების საკითხი. ექსპერტთა ერთ-ერთ რეკომენდაციას სწორდ რომ მეთოდოლოგიური ჩარჩოს დაკონკრეტება წარმოადგენდა, რადგან მნიშვნელოვანია მკაცრად განსაზღვრული მეთოდოლოგიის შემუშავება. რაც შეეხება ციტირებებსა და გამოყენებულ ლიტერატურას, აღნიშნული წარმოადგენს ხელმძღვანელის პრეროგატივას. მიუხედავად ამისა ექსეპერტების მიერ განისაზღვრა რელევანტური და თანამედროვე ლიტერატურის მითითების საკითხი.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა სამაგისტრო ნაშრომის არჩევის პრინციპთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო სია, შესაბამისად ნაშრომების არჩევა მოხდა არა შეფასებების, არამედ თემატიკისა და კონცენტრაციების მიხედვით.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ ნაშრომის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით საკითხები განსაზღვრული იყო რჩევის სახით და მოუწოდა ექსპერტებს საკითხის დაზუსტებისკენ.

ექპერტმა განმარტა, რომ საკითხი მოწესრიგებული იყო რჩევის სახით და არა ერთხელ იქნა აღნიშნული გასაუბრებების დროსაც. ინსტიტუციას აქვს მრავალფეროვანი გამოცდილება და შესაბამისად ექსპერტთა აზრით უმჯობესი იქნებოდა ამ გამოცდილების მეტად ფორმალიზირება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა კონცეტრაციების შედეგებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამა შედგენილი არის N69ნ ბრძანების შესაბამისად ,,სწავლების სფეროების კლასიფიკატორის“ მიხედვით, სადაც პირდაპირ არის გაწერილი, რომ მაგისტრატურის პროგრამაში კონცენტრაცია უნდა იყოს 50%-ზე მეტი. აქედან გამომდინარე, თითოეულ კონცეტრაციას გააჩნია თავისი შედეგები, რომლებიც ინტეგრირებულია პროგრამის ძირითად შედეგებში. შესაბამისად როგორც სტუდენტებისთვის, ასევე ინსტიტუციისთვის მოცემული საკითხი დეტალურად არის გაწერილი.

რაც შეეხება კვლევით კომპონენტს და კერძოდ კოლოქვიუმს, საყურადღებოა, რომ იმ დროს როდესაც აღნიშნული პროგრამები იქნა წარმოდგენილი (აგვისტოში), მაგისტრატურის დებულებით კოლოქვიუმის საკითხი გათვალისწინებული იყო, თუმცა 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით შეჩცვალა მიდგომა და დაწესებულება გადავიდა ერთჯერად შეფასებაზე. აქედან გამომდინარე, პროგრამაში აღნიშნული ინფორმაცია ჩარჩა. წინა პროგრამის მიხედვით კოლოქვიუმი წარმოადგენდა კვლევის წინაპირობას. მისი თქმით, ამ ეტაპზე პროგრამა უკვე გასწორებულია. კვლევითი კომპონენტი მოიცავს 40 კრედიტს ერთჯერადი შეფასებით.

აღსანიშნავია ასევე, რომ სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს კვლევით ნაწილს, მოცემული ნამდვილად არ წარმოადგენს სასწავლო კურსების შეჯამებას.

რაც შეეხება კვლევების დაფინანსების საკითხს, მაგისტრანტებს ხშირად შეაქვთ კვლევები რუსთაველის ფონდში დაფინანსებასთან დაკავშირებით. დაწესებულებას ასევე აქვს კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მაგისტრანტების მიერ კვლევითი პროექტების შესრულებას. უნივერსიტეტს ასევე აქვს საკმაოდ კარგი ლაბორატორიული ბაზა, სადაც სტუდენტებს აქვთ საშუალება, რომ თავიანთი კვლევითი პროექტები შეასრულონ.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ განმარტა, რომ პროგრამას აქვს ერთიანი სწავლის შედეგი და სხვადასხვა კონცენტრაციები, რომელთა სწავლის შედეგებიც ერთმანეთისგან განსხვავდება. შესაბამისად, სტუდენტი, რომელიც აიღებს ერთ-ერთ კონცენრაციას, დიპლომის დანართში

ჩაეწერება ასევე სხვა კონცეტრაციების სწავლის შედეგები, რადგანაც პროგრამას აქვს ერთიანი სწავლის შედეგები. შესაბამისად სტუდენტს ჩაეწერება ის სწავლის შედეგები, რომლებიც არ გაუვლია, რაც ქმნის პრობლემას.
საბჭოს წევრმა ასევე მოუწოდა ექსპერტებს ნაშრომების შინაარსობრივი შეფასებისკენ.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 69ნ-ის მიხედვით, კონცენტრაციას გააჩნია სწავლის შედეგები, რომლებიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში და პროგრამაში კონცეტრაციის არსებობა არ ცვლის პროგრამის სწავლის სფეროს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. აქედან გამომდინარე, დაწესებულება მიიჩნევს, რომ პროგრამაში არ არის დარღვევები ამ კუთხით.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ შრომის ბაზრის კვლევაში წარმოდგენილია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ განხორციელებული კვლევა, სადაც მოცემულია ოფიციალური მონაცემები. შესაბამისად სახელმწიფოს მიერ ჩატარებული კვლევა ნათლად გამოსახავს მოთხოვნას მოცემულ პროგრამაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა განმარტა, რომ შრომის ბაზრის კვლევა არის შედეგებთან მიმართებით განხორციელებული კვლევა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილია მხოლოდ გამოკითხული 7 ორგანიზაცია, ის ინსტიტუციები რომლებიც წარმოდგენილია საბაკალავრო და სადოქტორი საფეხურზე, ასევე თანამშრომლობენ სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა ინგლისურ ენასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ეროვნულ გამოცდებზე ბარდება 4 უცხო ენა, შესაბამისად წინაპირობად წინაპირობად მხოლდ ერთი- ინგლისური ენის განსაზღვრა არ განხორციელებულა.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ დააზუსტა, რომ თუ მაგალითად პროგრამაზე ჩაერიცხა სტუდენტი, რომელიც ფლობს ფრანგულ ენას, აქვს თუ არა დაწესებულებას შესაბამისი საბიბლიოთეკო რესურსი სახელმძღვანელოების უზრუნველყოფის მიზნით.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საბიბლიოთეკო რესურსი ექვემდებარება განახლებას. გარდა ამისა, რესურსი საკმაოდ დიდია შესაბამისად წარმოდგენილი იქნება უცხოენოვანი ლიტერატურაც.
საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, არსებობს თუ არა ქართული ლიტერატურა პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, რადგან ინფორმატიკა და ტექნოლოგიები არის დინამიურად განვითარებადი დარგი. გარდა ამისა დასკვნაში საბიბლიოთეკო რესურსთან და მონიტორინგთან დაკავშირებით განსაზღვრულია ექსპერტთა რეკომენდაციაც.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, ძირითადად ვხვდებით ინგლისურენოვან ლიტერატურას, შესაბამისად დაწესებულება მუდმივად ცდილობს მიაწოდოს სტუდენტებს შესაბამისი თარგმანი, რაც შეეხება საბიბლიოთეკო რესურსის განახლებასა და მონიტორინგს, დაწესებულება ამ კუთხით ეთანხმება ექსპერტებს და შესაბამისად მოხდება რეაგირება.
საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ განმარტა, რომ სამაგისტრო ნაშრომებიდან გამომდინარე არ ჩანს, რომ სტუდენტები სარგებლობენ ბაზებით. ძალიან მწირია მასალა, რომელსაც ეფუძნება სამაგისტრო ნაშრომი.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ბაზების გამოყენებას საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა, თუმცა დაწესებულება მუდმივად ცდილობს არსებული ხარვეზების გამოსწორებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:05
დასრულების დრო: 14:05

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “ინფორმატიკის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით, ხოლო 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ დამატებით განსაზღვრა რამდენიმე რეკომენდაცია, რიგ რეკომენდაციებს შეუცვალა ფორმულირება, საბოლოოდ კი დაწესებულებისათვის გაცემული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:

- გაიწეროს პროგრამაში თითოეული კონცენტრაციის მიხედვით სწავლის შედეგები;
- დაშვების წინაპირობებს დაემატოს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის მოთხოვნა
- გასწორდეს და დაზუსტდეს სასწავლო კურსების წინაპირობები მათი შინაარსობრივი კავშირების გათვალისწინებით;
- დარეკორექტირდეს რიგი სასწავლო კურსების სილებუსები (დეტალური ინფორმატია იხილეთ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში);
- განახლდეს რიგ სასწავლო კურსებში სასწავლო ლიტერატურა ((დეტალური ინფორმატია იხილეთ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში);
- დაკორექტირდეს კონკრეტული სილაბუსები, რომ მათი შინაარსი და სწავლის შედეგები მოვიდეს თანხვედრაში მაგისტრატურის საფეხურთან - რეკომენდაცია მოიცავს მაგრამ შემოიფარგლება აღწერით ნაწილში მოხსენიებული კურსებით;
- რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომების თემატიკების დარგთან შესაბამისობაში მოყვანა;
- რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობის პროცესში საერთაშორისო ელექტრონული ბაზების და თანამედროვე ლიტერატურის გამოყენება;
- განხორციელდეს სამაგისტრო ნაშრომებზე მონიტორინგი, დაწესებულების მიერ დადგენილი სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
- რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომის მეთოდოლოგიური ჩარჩოს და მისი შეფასების კრიტერიუმების უფრო ცალსახა წარმოდგენა;
- მრავალკომპონენტიანი შეფასებისასთვის უფრო მეტად ფორმალიზებული ხასიათის მიცემა. ინდივიდუალური გრაფიკისას მრავალკომპონენტიანი შეფასების პრინციპების გათვალისწინება;
- ბიბლიოთეკაში წიგნების აღრიცხვის პროცედურის გავრცელება, განახლება და მონიტორინგი,სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურის გადახედვა- მათი საბიბლიოთეკო რესურსში შემოწმება;
- სტუდენტთა ლაბორატორიებში დაშვების გრაფიკების წარმოება - კალენდარული აღრიცხვა.

რჩევები:

- მიზნებში უფრო ცხადად გაიწეროს პროგრამის მნიშვნელობა და საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილის ელემენტები.

- ბაზრის მოთხოვნებიდან და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია სასწავლო კურსების პროექტების ნაწილში ხორციელდებოდეს ჯგუფური აქტივობები და ხდებოდეს მათი შეფასება.
- საერთაშორისო ექსპერტებთან კომუნიკაციის გაღრმავება, აღრიცხვა, გათვალისწინება.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 12 ხმით არცერთის წინააღმდეგ, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით, ხოლო 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

14:08 საბჭოს სხდომა დატოვა ნათია ზედგენიძე ჯიშკარიანმა

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა ნიკა თიკანაშვილი.

3. მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “ინფორმატიკის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმატიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28.09.2012 გადაწყვეტილება N 479
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ინფორმატიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმატიკის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და

		აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	სასწავლო კორპუსი N6, მ.კოსტავას ქ. N77, თბილისი, 0175, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- დავით კაპანაძემ, ნინო იმნაძემ და ელიზბარ ელიზბარაშვილმა.

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქვეყანაში COVID-19 პანდემიით გამოწვეული მდგომარეობიდან გამომდინარე, აკრედიტაციის ვიზიტი სრულიად დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობდა. არსებული რეალობის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფს და ინსტიტუციის წარმომადგენლებს, განსაკუთრებულ მდგომარეობაში უწევდათ მუშაობა. ელექტრონული ფორმატით ჩატარებული გასაუბრებები, სრულად ვერ გადმოსცემდა იმ ემოციურ მუხტს და ასახავდა გარემო პირობებს, რომელიც ინსტიტუციაში სუფევს. ამასთან აკრედიტაციის პროცესი, ორ დღიანი იყო და მოიცავდა როგორც საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციას. რასაც თავისი დადებითი და უარყოფითი ფაქტორები ახლდა თან - უდავოდ დადებითი იყო, რომ ამგვარმა ფორმატმა პროგრამის შინაარსზე დინამიკაში დაკვირვების საშუალება ჯგუფს და ცალსახად ჩანდა საფეხურებს შორის ბმისა თუ კვეთის წერტილები, თუმცა დროის სიმცირე და ელექტრონული ფორმატი გარკვეულწილად შემზღუდავ ფაქტორებად შეიძლება განხილულიყო, მეტადრე ზოგიერთი სტანდარტის შესამოწმებლად ერთი შეხვედრა იყო ჩანიშნული სამივე პროგრამისათვის. აკრედიტაციის პროცესი ეთიკური ნორმების დაცვით, კოლეგიალურ და მეგობრულ გარემოში მიმდინარეობდა.
სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “ინფორმატიკის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. განიმარტოს და გასწორდეს ჩანაწერი 180 ECTS კრედიტის შესახებ საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ 46-ე მუხლის შესაბამისად.
2. გაიწეროს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უფრო ცხადი მახასიათებლებით; ასევე გამკაცრდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები.
3. კურსში „IoT ეკოსისტემის გამოწვევები და დიზაინის პარადიგმები“ გაიზარდოს ლაბორატორიული სამუშაოების სირთულე.
4. ძირითად ლიტერატურაში გაიზარდოს თანამედროვე/ინგლისურენოვანი მასალის ოდენობა
5. სასწავლო პროგრამაში მეთოდოლოგიისა და მისი აუცილებლობის კომპონენტის გაძლიერება.
6. კვლევითი საქმიანობის წარმოებისას მეთოდოლოგიური ჩარჩოს შემუშავება და უფრო ცხადად წარმოდგენა
7. ხარისხის სამსახურის მიერ სასწავლო-სამეცნიერო მონიტორინგის გაძლიერება.
8. მიღების წინაპირობების გადახედვა, დოქტორანტების ცოდნის საწყისი ნიშნულის (მინიმალური მოთხოვნების გამკაცრება) აწევა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 29 აპრილის №01-05-04/75 დადგენილების თანახმად დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი (2020 წლიდან მოდიფიცირებული/დამტკიცებული სადოქტორო პროგრამებისათვის) მოყვანილია არსებულ კანონმდებლობასთნ შესაბამისობაში და განთავსებულია სტუ-ს ვებ-გვერდზე.
რაც შეეხება მე-2 და მე-8 რეკომენდაციას, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დიპლომი ინფორმატიკის, ზუსტი, საბუნებისმეტყველო და საინჟინრო სპეციალობებით. საფაკულტეტო დროებით კომისიასთან გასაუბრების წარმატებული გავლა. გასაუბრებისას მხედველობაში მიიღება სამეცნიერო პუბლიკაციების, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები . პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს კვლევითი პროექტი, სადაც გამოიკვეთება აპლიკანტის კვლევის მიზანი და მიმართულება. ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი. ზემოხსენებული სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში აპლიკანტი გამოცდას ჩააბარებს სტუ-ს საგამოცდო ცენტრში, ინგლისურ ენაში. დოქტორანტობის კანდიდატს, რომელსაც გავლილი აქვს ინგლისურენოვანი (ბაკალავრიატი ან/და მაგისტრატურა) პროგრამა გამოცდის ჩაბარება და სერტიფიკატის წარმოდგენა არ

მოეთხოვება. დოქტორანტურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები, ასევე საგამოცდო ტესტის ნიმუშები უცხო ენაში მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. პროგრამაში მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურების და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. პროგრამაში ჩარიცხვა ან გადმოყვანა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე უნივერსიტეტის პოზიციაა, ქვესტანდარტი 2.1-ის შეფასება, ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, გადავიდეს შეფასებაში, „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

მნიშვნელოვანია ასევე მე-5 რეკომენდაცია, კერძოდ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი (2020 წლიდან მოდიფიცირებული/დამტკიცებული სადოქტორო პროგრამებისათვის), წარმოდგენილი სადისერტაციო კვლევის პროექტი დეტალურად აღწერს სასწავლო პროგრამის მეთოდოლოგიას, სადაც ცალსახად გამოკვეთილია: თემის აქტუალობა და სიახლე; კვლევის მიზანი; საკვლევი ობიექტი; კვლევის ამოცანები; კვლევისათვის მეთოდები; კვლევის შედეგები და ა.შ.

რაც შეეხება მე-6 რეკომენდაციას, დოქტორანტურის დებულების (2020 წლის 29 აპრილის № 01-05-04/75 დადგენილება) 10.8 პუნქტში ცალსახად წარმოდგენილია კვლევის სტრუქტურა: სწავლების პირველ წელს დოქტორანტი ხელმძღვანელთან ერთად ადგენს სადისერტაციო კვლევის პროექტის - დეტალურ გეგმას (დასამუშავებელი საკითხების ჩამონათვალს: - შესავალი, სამეცნიერო სიახლე, აქტუალობა, მიზნები და თეორიული/პრაქტიკული მნიშვნელობა); სადისერტაციო კვლევის პროექტის სტრუქტურაა: სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა (საკითხის კვლევის ისტორია, საკვლევი საკითხის ადგილი თანამედროვე მეცნიერებაში, რატომ არის ეს საკითხი აქტუალური); კვლევის მეთოდოლოგია ; ძირითადი საკვლევი საკითხები (რა პრობლემების გადაჭრას ისახავს დოქტორატი მიზნად); დისერტაციის სავარაუდო სტრუქტურა; დისერტაციის შესრულების სავარაუდო გრაფიკი (კვლევის გეგმა); კვლევის მოსალოდნელი შედეგები (რამდენად შეაქვს ამ კვლევას წვლილი დარგის განვითარებაში უნივერსიტეტს აქვს პოზიცია, ქვესტანდარტი 3.1 -ის შეფასება, ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან გადავიდეს შეფასებაში, „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ აღნიშნულიდან გამომდინარე უნივერსიტეტის პოზიციაა, სტანდარტი 3 -მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, გადავიდეს შეფასებაში, „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

დაწესებულების წარმომადგენელმა მე-7 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ახდენს უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე, პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასებას. შეფასების საფუძველზე ვითარების გაუმჯობესების ან დამაკმაყოფილებელი ვითარების შემთხვევაში, მისი შენარჩუნებისა და შემდგომი გაუმჯობესებისთვის საჭირო წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას. ხარისხის სამსახურის მიერ სასწავლო-სამეცნიერო მონიტორინგის ამოცანები და ფუნქციები წარმოდგენილია, სტუ - ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებაში, რომელიც დამტკიცებულია სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2020 წლის 17 იანვრის № 01-06-02/05 დადგენილებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ აუცილებლად მოხდება ლიტერატურის განახლება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ მოუწოდა ექსპერტებს ესაუბრათ სადისერტაციო ნაშრომების შინაარსობრივ მხარეზე.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა მე-6 რეკომენდაცია და დააზუსტა ეთანხმება თუ არა დაწესებულება მოცემულ რეკომენდაციას.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ დააზუსტა პასუხობს თუ არა ყველა სადისერტაციო ნაშრომი პროგრამის მე-7 სწავლის შედეგს. გარდა ამისა საბჭოს წევრმა აღნიშნა მე-8 რეკომენდაცია, რომელიც გულისხმობს საერთაშორისო პროექტებსში მონაწილობას და დააზუსტა გადის თუ არა ყველა დოქტორანტი მოცემულ შედეგზე და როგორ ხდება აღნიშნულის შეფასება.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა 5.3 კომპონენტთან დაკავშირებით დასკვნაში ასახული აღწერილობა, კერძოდ მოცემულია გარკვეული რჩევები და რეკომენდაციები, თუმცა აღნიშნული არ არის ასახული ზოგად პროგრამის რჩევებსა თუ რეკომენდაციებში, სესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებს საკითხის განმარტებისკენ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი ვერ შეაფასებს სადოქტორი ნაშრომების შინაარსობრივ ნაწილს, ვინაიდან აღნიშნული არ წარმოადგენს მათ კომპეტენციას და ასევე დროც არ არის საკმარისი. მისი თქმით, შესაბამისად ძირითადი აქცენტი კეთდება სტრუქტურასა და გაფორმებაზე.
რაც შეეხება 5.3 კომპონენტს, აღნიშნულ კომპონენტთან დაკავშირებული საკითხები განსაზღვრულია ექპერტების მიერ შემუშავებულ მე-7 რეკომენდაციაში, კერძოდ - ხარისხის სამსახურის მიერ სასწავლო-სამეცნიერო მონიტორინგის გაძლიერება.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა თუ რის საფუძველზე მოხდა იმის დადგენა, რომ ნაშრომებში ხდება მეთოდლოგიის აღრევა.
ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული დადგინდა ინტერვიუების შედეგად. გასაუბრებების დროს სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს არ ჰქონდათ პასუხები ექსპერტთ მიერ მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებზე.
საბჭოს წევრმა თეონა მატარაძემ აღნიშნა, რომ ბიბლიოგრაფიის კუთხით ნაშრომებში გამოყენებულია სადოქტორო საფეხურთან შეუსაბამო ლიტერატურა. კვლავ გვხვდება ვიკიპედია როგორც წყარო, დომინირებს რუსული წყაროები. გარდა ამისა წყაროები არ მიემართება სპეციფიურად ინფორმატიკის საკითხებს. აღსანიშნავია ასევე, რომ 2 წლის განმავლობაში ყველა ნაშრომის შეფასებას წარმოადგენდა A.
ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ნაშრომთა რაოდენობა და შეფასება ნამდვილად იწვევს ეჭვს. თუმცა ექსპერტებს არ აქვთ არანაირი ბერკეტი, რომ მოახდინონ მოცემული საკითხის შემოწმება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა მეთოდოლოგისთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებაში პირდაპირ არის გაწერილი, რომ სადისერტაციო კვლევის პროექტი დეტალურად უნდა აღწერდეს სასწავლო პროგრამის მეთოდოლოგიას, რაც ცალსახად არის გამოკვეთილი, რომ არის თემის აქტუალობა, სიახლე, მიზანი, კვლევის ობიექტი, ამოცანები, მეთოდები, შედეგები და ა.შ. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი ნაშრომები იყო 2015 წლიდან დაცული სადოქტორო ნამუშევრები. თუმცა აღსანიშნავია რომ სადოქტორო ნაშრომების ხარისხი და გაფორმება მუდმივად იხვეწება. 2 წელია რაც ნაშრომები გადიან შემოწმებას პლაგიატზე, შესაბამისად მუდმივად ხდება მათი მონიტორინგი.
რაც შეეხება მე-7 სწავლის შედეგს, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფილაი აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და უახლესი ტექნოლოგიებით, შესაბამისად მათი გამოყენების საფუძველზე დოქტორანტებმა უნდა შექმნან ახალი მეთოდები და მოდელები, რაც სავალდებულოა ყველა სადისერტაციო ნაშრომის

ფარგლებში. აუცილებელია გარკვეული ამოცანის გადაწყვეტის დროს თანამედორვე მეთოდებისა და საშუალებეის გამოყენება. შესაბამისად სავალდებულოა, რომ ყველა ნაშრომი გავიდეს მე-7 შედეგზე.
რაც შეეხება მე-8 შედეგს, დაწესებულების მოთხოვნაა, რომ დისერტაციის დაცვამდე დოქტორანტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ნაშრომი გამოქვყნებული მაღალი იმპაქტის ჟურნალში. აღნიშნული არის პირობა იმისა, რომ დოქტორანტი აქტიურად უნდა იყოს ჩართული საერთაშორისო ფორუმებში, კონფერენციებსა და პროექტებში.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ დააზუსტა აქვს თუ არა დაწესებულებას მხარდაჭერის მექანიზმი, რათა ხელი შეუწყოს დოქტორანტებს საერთაშორიოს პროექტებში მონაწილეობის მისაღებად.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დოქტორანტურის დებულების მიხედვით, იმისათვის, რომ დოქტორანტმა სადისერტაციო ნაშრომი დაიცვას, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს სამი სტატია, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა იყოს გამოქვეყნებული მაღალრეიტინგულ ჟურნალებში. გარდა ამისა დოქტორანტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მონაწილეობა მირებული ერთ საერთაშორისო კონფერენციაში მაინც. იმ შემთხვევაში, თუ ფონდების მხრიდან არ ხდება დოქტორანტების დაფინანსება, დაწესებულება თავისი ხარჯებით აფინანსებს სტუდენტებს.
საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ დააზუტა, ნაშრომები აუცილებლად ინდივიდუალურად უნა იყოს თუ არა შემუშავებული.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დოქტორანტებს შესაძლებლობა აქვთ ხელმძღვანელთან ერთად იმუშაონ ნაშრომზე. თუმცა ერთი ნაშრომი დოქტორანტს აუცილებლად უნდა ჰქოდეს დაწერილი ინდივიდუალურად.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:00
დასრულების დრო: 15:35

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით, ხოლო 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ დამატებით განსაზღვრა რამდენიმე რეკომენდაცია, რიგ რეკომენდაციებს შეუცვალა ფორმულირება, საბოლოოდ კი დაწესებულებისათვის გაცემული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:

- განიმარტოს და გასწორდეს ჩანაწერი 180 ECTS კრედიტის შესახებ საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ" 46-ე მუხლის შესაბამისად;
- რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის მე-7 და მე-8 სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს მათი გაზომვადობის უზრუნველყოფის მიზნით;

- გაიწეროს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უფრო ცხადი მახასიათებლებით; ასევე გამკაცრდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
- მიღების წინაპირობების გადახედვა, დოქტორანტების ცოდნის საწყისი ნიშნულის (მინიმალური მოთხოვნების გამკაცრება) აწევა;
- კურსში „IoT ეკოსისტემის გამოწვევები და დიზაინის პარადიგმები“ გაიზარდოს ლაბორატორიული სამუშაოების სირთულე;
- ძირითად ლიტერატურაში გაიზარდოს თანამედროვე/ინგლისურენოვანი მასალის ოდენობა;
- რეკომენდირებულია მონიტორინგი განხორციელდეს სადოქტორო ნაშრომების შინაარსი სტანდარტებთან, უნივერსიტეტის განახლებულ დებულებასთან და სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
- რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის თანდართულ დოკუმენტაციაში აისახოს სადისერტაციო ნაშრომის ერთჯერადი შეფასება;
- სასწავლო პროგრამაში მეთოდოლოგიისა და მისი აუცილებლობის კომპონენტის გაძლიერება;
- კვლევითი საქმიანობის წარმოებისას მეთოდოლოგიური ჩარჩოს შემუშავება და უფრო ცხადად წარმოდგენა;
- რეკომენდირებულია მონიტორინგის ციკლის გახშირება და უკუკავშირის ციკლის შესაბამისად აწყობა. მაგ. კურსები თემატიკების როგორც პროგრამის შიგნით, ასევე სხვა საფეხურებთან კვეთა (მაგ.საბაკალავრო, სამაგისტრო დონესთან) თანამედროვე მიღწევების განახლება/დანერგვა.

რჩევები:

- მიზნებში უფრო ცხადად გაიწეროს პროგრამის მნიშვნელობა და საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილის ელემენტები.
- აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგები გამოყენებულ იქნას მათი წახალისებისა და დაწინაურებისთვის.
- კონფერენციებში მონაწილეობისთვის ფინანსური დახმარების მისაღებად გაიწეროს ცხადი და დეტალური პროცედურები;
- საერთაშორისო ექსპერტებთან კომუნიკაციის გაღრმავება, აღრიცხვა, გათვალისწინება;
- სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობის გაზრდა არა მხოლოდ ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალებში.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 11 ხმით არცერთის წინააღმდეგ, სსიპ - საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტის ,,ინფორმატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით, ხოლო 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

15:36 - საბჭოს სხდომას შეუერთდა ნინო იმნაძე.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა ნინო იმნაძე.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის - ,,ბუნების დაცვა და მეტყევეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბუნების დაცვა და მეტყევეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	31.07.2020 გადაწყვეტილება № 698238
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების მაგისტრი ბუნებათსარგებლობაში
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ.თბილისი, 0162, გ.წერეთლისN3, G კორპუსი
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა ელენე ჟურავლიოვამ.

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N 698238 გადაწყვეტილებით 2020 წლის 31 ივლისის სხდომაზე (ოქმი 17/08/2020) დაკმაყოფილდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი და „ბუნების დაცვის და მეტყევეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა 7 წლით აკრედიტაცია 7 თვეში ანგარიშის წარდგენის ვალდებულებით, საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების და რჩევების შესრულების შესახებ.

ანგარიშის წარდგენის ვადად განისაზღვრა შვიდი თვე - 2021 წლის 2 მარტამდე. განსაზღვრული ვადის დაცვით (01.03.2021) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმოადგინა ანგარიში უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების გათვალისწინების/შესრულების ეფექტური მიდგომების შერჩევა-განხორციელებისთვის საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. პროგრამის სამუშაო ჯგუფმა განიხილა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები, დაგეგმა შესაბამისი პროცესები რეკომენდაციების შესასრულებლად. მოხდა პროგრამის შესაბამისი დოკუმენტების განახლება და ფაკულტეტის საბჭოზე შეტანილი ცვლილებების განხილვა/დამტკიცება.

საექსპერტო განხილვისათვის წარმოდგენილი იყო უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში და თანდართული დოკუმენტები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის - „ბუნების დაცვა და მეტყევეობა“ - ა) კურიკულუმი; ბ) პროგრამის კურსების კატალოგი; სასწავლო კურსების სილაბუსები - ა) ტყის ეკოლოგია და დაცვა; ბ) ტყის ინვენტარიზაცია და მონიტორინგი; გ) ტყის ოპერაციული მართვა. აღნიშნული დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე დასტურდება, რომ სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაზიარებული რეკომენდაციბი; რეკომენდაციების შესაბამისად განხორციელებულია ცვლილებები და ასახულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბუნების დაცვის და მეტყევეობის“

პროგრამის კურიკულუმში, სასწავლო კურსების სილაბუსებში და სასწავლო კურსების კატალოგში; აღნიშნული ცვლილებები დასტურდება წარმოდგენილი თანდართული დოკუმენტაციით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები ძირითადა ეხებოდა სწავლის შედეგებსა და ზოგადად პროგრამას. შესაბამისად, დაესებულებამ მაქსიმალურად გაითვალისიწინა ყველა რეკომედნაცია და გაატარა აუცილებელი ცვლილებები.

16:40 საბჭოს სხდომას შეუერთდა თამარ ჩხეიძე

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:53
დასრულების დრო: 15:55

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბუნების დაცვა და მეტყევეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბუნების დაცვა და მეტყევეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

15:56- საბჭოს სხდომა დატოვა ანზორ ბერიძემ.

5. მეხუთე საკითხი: შპს თავისუფალი უნივერსიტეტის ,,სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	5/05/2018 N66

5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
9	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	45
12	განხორციელების ადგილი	კახა ბენდუქიძის კამპუსი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N 240, თბილისი 0159, საქართველო
13	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემოწმება მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტის გარეშე. მონიტორინგის შემოწმების საფუძველი იყო აკრედიტაციის საბჭოს შუამდგომლობა პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელების თაობაზე. ცენტრის დირექტორის ბრძანების 2020 წლის 31 დეკემბრის №1245614 ბრძანებაში შესული ცვლილების თანახმად, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის მიზნით, შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ მონიტორინგის მიზნით მოწოდებულ დოკუმენტაციას და შეადარა ის 2018 წლის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. პირველ შეხვედრაზე, 8 თებერვალს, ექსპერტთა ჯგუფმა, შეხვედრის შემდეგ, დაწესებულებისგან გამოითხოვა დამატებითი მასალა.
ექპერტის განმარტებით, დაწესებულების მიერ გამოგზავნილი არგუმენტირებული პოზიცია საერთოდ არ ითვალისწინებს ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციებსა და რჩევებს და

იმეორებს იმ პოზიციას, რომელიც დაწესებულებამ დააფიქსირა მას შემდეგ (დაწესებულების წერილი - 142820, 22/02/2021), რაც ექსპერტთა ჯგუფმა დამატებითი დოკუმენტაცია გამოითხოვა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ არ ზღუდავს დაწესებულების თავისუფლებას და რომ გაცემული რჩევები და რეკომენდაციები არ იწვევს „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტონომიისა და დისკრეციის, მათ შორის, აკადემიური თავისუფლების შელახვას“, რადგან დაწესებულებებს, მათ შორის, შპს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტს, საგანმანათლებლო პროგრამების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანა უწევთ კანონმდებლობის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში მოცემული რეკომედაციები შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე, გადატანილი იქნა რჩევებში.
შპს თავისუფალი უნივერსიტეტის ,,სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველისტანდარტი- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მეორესტანდარტი - მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან
მე-4 სტანდარტის 4.1 კომპონენტი - მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან
მე-5 სტანდარტის5.2 კომპონენტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

16:15 სთ-ზე სხდომა დატოვა გაიანე სიმონიამ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია, საგანი „სწავლების პრაქტიკა“ იყოს არა არჩევით სავალდებულო საგანთა ნუსხაში, არამედ სავალდებულო სასწავლო საგანთა სიაში.
2. პროგრამის მიმართულებების სწავლის შედეგები ნათლად უნდა ასახავდეს კომპონენტებს. მაგალითად, დოქტორანტურის საფეხურზე ყველა მიმართულებით უნდა წარმოჩნდეს სფეროს სისტემური და კრიტიკული გააზრება, რომელიც შედეგებშიც უნდა დაკონკრეტდეს; ასევე, უნარებში აისახოს კრიტიკული ანალიზის და არსებული პრობლემების დამოუკიდებლად გადაწყვეტის, მოსაზრებების არგუმენტირებულად წარმოდგენის უნარები.
3. სასწავლო კურსის „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“ სილაბუსი მითითებული შენიშვნების შესაბამისად საჭიროებს ჩასწორებას. წარმოდგენილი მიზანი და შედეგები ერთმანეთთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს; ასევე, დაზუსტდეს კვლევის მეთოდები. გარდა ამისა, სწავლის შედეგები ვრცლადაა მოცემული და საჭიროებს დაკონკრეტებას, ისინი უნდა ასახავდეს ძირითად შედეგებს, რომლებშიც მკაფიოდ იქნება წარმოდგენილი ცოდნა-გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტები.
4. კურსის „დოქტორანტის სემინარი III” შინაარსი, დიდწილად, პოლიტიკური და ძალაუფლების თეორიების ანალიზს ასახავს. მნიშვნელოვანია კურიკულუმში ისეთი სასწავლო კურსის გათვალისწინება, რომლის შინაარსი შესაბამისი იქნება მისანიჭებელ კვალიფიკაციებთან (მაგალითად, ეკონომიკური პოლიტიკის ან საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით).
5. სილაბუსში „დოქტორანტის სემინარი III“ საჭიროა გარკვეული ცვლილებების განხორციელება, რათა სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს მესამე დონის კვალიფიკაციის მოთხოვნებთან. კერძოდ, ა). სასწავლო კურსში „დოქტორანტის სემინარი III“ შეიქმნას დამატებითი ლიტერატურის განყოფილება და წყარო - Hoffman, J and Graham, P. (2015). Introduction to Political Theory, London and New York, Routledge - იქ იქნეს გადატანილი; აღნიშნული წყარო ამოღებული იქნეს კალენდარული გეგმის პირველი და მესამე კვირიდან; ბ). სასწავლო კურსში „დოქტორანტის სემინარი III“ კალენდარული

გეგმის 1-ელ კვირაში თემისთვის „პოლიტიკური თეორიის საგანი. პოლიტიკისა და პოლიტიკური ფენომენის განსაზღვრის მცდელობა კარლ შმიტის მიერ“, ზემოთ ხსენებული Introduction to Political Theory-ის ნაცვლად, შმიტის შესახებ უფრო სპეციალიზებული მასალა იქნეს მითითებული (მაგალითად, The Oxford Handbook of Carl Schmitt, edited by J. Meierhenrich and O. Simons, Oxford: Oxford University Press, 2016); გ). სასწავლო კურსში „დოქტორანტის სემინარი III“ კალენდარული გეგმის მე-3 კვირაში თემისთვის „სახელმწიფოს წარმოშობის კლასიკური თეორიები“ მითითებული ლიტერატურა შეივსოს სხვა წყაროებით, რათა ის სადოქტორო დონისთვის უფრო ადეკვატური გახდეს (მაგალითად, Quentin Skinner, “A Genealogy of the Modern State”, Proceedings of the British Academy, 162 (2009), გვ. 325-370).

6. მნიშვნელოვანია, რომ ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, ფილოსოფიის, ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამა გაძლიერდეს კვალიფიციური აკადემიური პერსონალით. ამასთან, სადისერტაციო საბჭოში წარმოდგენილი იყვნენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე წევრები.
7. კურსის - „აკადემიური წერა დოქტორანტებისთვის“ - სწავლის შედეგები საჭიროებს დაზუსტებას და ზოგიერთი წარმოდგენილი დებულების მესამე საფეხურისთვის შესაბამისობაში მოყვანას; კერძოდ, სილაბუსში სწავლების შედეგში წერია: „დოქტორანტს შეუძლია აკადემიური კითხვასა და წაკითხულიდან აზრის ეფექტიანად გამოტანა.“ ჩნდება შეკითხვა: რა მექანიზმით მოწმდება შედეგი? ასევე, დოკუმენტში წერია: „დოქტორანტს აქვს აკადემიური წერის ფუნდამენტური უნარი, ნებისმიერი აკადემიური და არააკადემიური კომუნიკაციისათვის.“ გაუგებარია, რა იგულისხმება „არააკადემიურ კომუნიკაციაში“. თუკი აქ იგულისხმება არააკადემიური სტილი, უნდა გაკეთდეს შესაბამისი ჩასწორება. სწავლის შედეგებში ვკითხულობთ: „დოქტორანტმა იცის აკადემიური წერის თანამედროვე ნორმები და სტილები“, რომლებიც თემატიკაში არსად არ არის განხილული (სავარაუდოდ, იგულისხმება APA-ს, Chicago-ს, და ა.შ სტილი). დაბოლოს, ზოგიერთი ჩანაწერი სადავოა. მაგალითად: „დოქტორანტს შეუძლია წაკითხული მასალის გააზრება, ლაკონიურად აზროვნება და წერა.“ ეს უნარი დოქტორანტს ადრეულ საფეხურზე უკვე უნდა ჰქონდეს გამომუშავებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა ექსპეტებს ჰქონოდა კომუნიკაცია დაწესებულებასთან. კომუნიკაცია იყო მხოლოდ წერილობითი, რამაც დააზიანა მთელი პროცესი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა მიერ განხორციელებული საქმაინობა არ უნდა გასცდეს მონიტორინგის ფარგლებს. სხვაგვარად მოცემული არის აკრედიტაციის განმეორების მსგავსი პროცესი. მონიტორინგის განხორციელების დროს კი არ იყო აღნიშნული ფარგლები დაცული. დაწესებულება მიიჩნევს, რომ პროგრამა საკმაოდ წარმატებულია. სულ რამდენიმე დოქტორანტს აქვს დამთარებული პროგრამა, რადგან სტანდარტი საკამოდ მაღალია.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება არ ეთანხმება ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ პირველ რეკომენდაციას, რადგან საგნების განაწილების საკითხი ეფუძნება არა მხოლოს პროგრამის კონცეფციას, არამედ იმ გამოცდილებას, რომელიც აქვს დაწესებულებას დოქტორანტებთან ურთიერთობის ფარგლებში. ხშირად დოქტორანტურაში აბარებენ პირები, რომელბსაც არ აქვთ მიზნად აკადემიური მოღვაწეობა, თუმცა, ,,სწავლების პრაქტიკაში“ მონაწილეობა ნიშნავს, რომ დოქტორანტები უნა ჩაერთონ საბაკალავრო სწავლებში.

ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა ასევე ადამიანურ რესურსს, რომლის მიხედვითაც ნათლად ჩანს, რომ ექსპერტების მიერ განხორციელდა პროგრამის ხელახლა სააკრედიტაციო შემოწმება. გარდა ამისა ექსპერტთა მოცემული დასკვნები არ გამომდინარეობდა აკადემურ პერსონალთან გასაუბრებისა თუ ინტერვიუების შედეგად. ექსპერტებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა ენახათ ის აკადემიური გარემო, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა. გარდა ამისა,

აღსანიშნავია, რომ პროგრამის აკრედიტაციის ფარგლებში არ გაცემულა რეკომენდაცია ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით. შესაბამისად ექსპერტები შევიდნენ იმ სფეროში, რომელიც თავდაპირველად საბჭოს მიერ არ იყო დადგენილი როგორც რეკომენდაციის საგანი. აქედან გამომდინარე, დაწესებულება მიიჩნევს, რომ მოცემული რეკომენდაციის ვალიდურობა არის საეჭვო.
ექსპერტმა განმარტა, რომ ცენტრის მიერ გამოგზავნილ დოკუმენტებიდან, ერთ-ერთი იყო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და საბჭოს სხდომის ოქმი. აღნიშნულ დოკუმენტებში მოცემული იყო რიგი რეკომენდაციები. მე-4 სტანდარტში იყო სწორედ ის საკითხები განხილული რაც აღინიშნა მონიტორინგის დროს. როგორც აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში, ისე მონიტორინგის დასკვნაში მიეთითა, რომ ფსიქოლოგიის კუთხით მხოლოდ ერთი აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი არსებობდა პროგრამის ფარგლებში. დასკვნაში მოცემული იყო რომ რეკომენდირებულია მეტი ფსიქოლოგი იყოს ჩართული პროგრამაში, რაც გაზიარებული იქნა მონიტორინგის ფარგლებშიც.
რაც შეეხება ,,სწავლების პრაქტიკას", დაწესებულებას პროგრამის მიზნებში მითითებული აქვს, რომ პროგრამა ამზადებს უმაღლეს პედაგოგიურ კადრებს. აქედა გამომდინარე, მიზანი უნდა იყოს შესაბამისი პრაქტიკასთან. თუ მიზანია პედაგოგიური კადრის მომზადება, მაშინ სავალდებულო უნდა იყოს ასევე ასისტენტობაც, რაც ასევე განისაზღვრა რეკომენდციის სახით.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის მიზნებში არის მსგავსი ჩანაწერი, აღნიშნული არ მიუთითებს იმაზე რომ ყველა დოქტორანტი აუცილებლად უნდა იყო პედაგოგიური კადრი. იმ დოქტორანტებისთვის, რომლებსაც აქვთ მსგავსი კარიერული გეგმა მოცემული სასწავლო კურსი არის ხელმსაწვდომი. თუმცა ყველას არ სურს პედაგოგიური მოღვაწეობა. უნივერსიტეტისთვის იმის მითითება, თუ რომელი სასწავლო კურსი უნდა განისაზღვროს სავალდებულოდ და რომელი არჩევითად, არის დაწესებულების აკადემიური თავისუფლების შეზღუდვა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ თუ რატომ არ ეთანხმებიან ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ პირველ რეკომენდაციას შინაარსობრივად.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაზე წარმოდგენილნი არიან დოქტორანტები, რომლებსაც არ აქვთ მიზანი იყვნენ საუნივერსიტეტო განათლებაში. შესაბამისად მათთვის ,,სწავლების პრაქტიკა" არის სრულიად ზედმეტი. მათთვის ვისთვისაც მნიშვნელოვანია მოცემული საკითხები, შეუძლიათ აირჩიონ მოცემული სასწავლო კურსი.
საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ნაწილი სტუდენტებისთვის სავალდებულო იქნება მოცემულ მიზანზე გასვლა, ხოლო ნაწილისთვის არა და დააზუსტა არის თუ არა პროგრამის შინაარსში მოცემული საკითხი, ანუ ექნება თუ არა სტუდენტს შესაძლებლობა წინასწარ მიიღოს ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუციის წარმომადგენლებს მუდმივად აქვთ გაცნობითი შეხვედრები თითოეულ დოქტორანტთან, სადაც დეტალურად განიხილება ყველა საკითხი. გარდა ამისა სასწავლო კურსი პროგრამაში არჩევით საგნად არის განსაზღვრული, შესაბამისად, აღნიშნული თავად მეტყველებს იმაზე, რომ სტუდენტებს ინტერესიდან გამომდინარე შეუძლიათ აირჩიონ მოცემული სასწავლო კურსი. შესაბამისად, სტუდენტი საკითხთან დაკავშირებით ინფორმირებულია. აღსანიშნავია ასევე, რომ მოცემული სასწავლო კურსი არის სპეციალობის არჩევითი საგანი, რაც განსხვავდება სტანდარტული არჩევითი საგნებისგან და აქვს უპირატესობა მათთან მიმართებით. სპეციალობის არჩევითი საგნები ემსახურება პროგრამით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ აღნიშნა, რომ პროგრამის პირველადი და მონიტორინგის მიზნებისთვის შეფასება გააკეთა ექპსერტთა ორმა განსხვავებულმა ჯგუფმა. შესაბამისად, ვინაიდან ახალმა ჯგუფმა დაადგინა განსხვავებული გარემოებები დაწესებულებას შეექმნა

წარმოდგენა, რომ მოხდა პროგრამის ხელახალი შეფასება, რაც ჩაითვალა არასამართლიანად. გარდა ამისა საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ პროგრამის მიხედვით, ყველა კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს აკადემიურ პერსონალად უნივერსიტეტში, შესაბამისად მნიშვნელოანია თუ როგორ გამოარჩევს დამსაქმებელი დიპლომის მიხედვით ვის შეუძლია აკადემიური თანამდებობის დაკავება.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგებში იკვეთება, რომ კურსდამთავრებულს საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლების მეთოდების ცოდნა აქვს და შეუძლია მისი დემონსტრირება. შესაბამისად, ამ სასწავლო კურსის ათვისების გარეშე რთულდება შედეგზე გასვლა. საინტერესოა თუ როგორ გადიან კვალიფიკაციაზე ის სტუდენტები, რომლებიც არ ირჩევენ მოცემულ სასწავლო კურსს და როგორ ხდება დაწესებულების მიერ შედეგებზე გასვლის გაზომვა. სასწავლო კურსის განსაზღვრა არჩევით და სავალდებულო კურსებად რა თქმა უნდა დაწესებულების პრეროგატივაა, თუმცა უნდა მოხდეს აღნიშნულის ასახვა პროგრამის მიზნებსა და შედეგებში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბჭოს წევრების მიერ სწორად იქნა დაფიქსირებული დაწესებულების პოზიცია, თუმცა ექსპერტთა მიგნებებიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნებოდა აღნიშნულს ჰქონოდა შეხვედრების ფორმატი, როგორც მიმდინარეობს მნიშვნელოვანი შეფასებების დროს.
რაც შეეხება პროგრამას, მასში განსაზღვრულია, რომ კურსდამთავრებულებს შეეძლებათ დასაქმდნენ სხვადსხვა მიმართულებებით. შესაძლებელია მოხდეს ჩანაწერის ფორმულირების ცვლილება, რათა გახდეს მარტივად აღქმადი. გარდა ამისა არ შეიძლება სტუდენტის შესაძლებლობები დავუკავშიროთ იმას, აქვს თუ არა მას გავლილი ,,სწავლების პრაქტიკის“ სასწავლო კურსი. ზოგადად პროგრამა მიზანსა და შედეგზე გადის ერთიანად. ამ კუთხით მნიშვნელოვანია როგორც ძირითადი ასევე სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები და პროგრამის სწავლის შედეგებში ხდება აღნიშნული კურსების შედეგების გათვალისწინებაც. აკადემიური საქმიანობიდ განხორციელებისთვი დოქტორანტისთვის არ არის სავალდებულო ,,სწავლების პრაქტიკის“ გავლა.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა დააზუსტა, თუ როგორ და რომელი კომპონენტით გადის სტუდენტი სწავლების შედეგებზე.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განმარტა, რომ სადოქტორო პროგრამისთვის უმნიშვნელოვანესია დისერტაცია და მისი ხარისხი. შესაბამისად დაინტერესდა, გაეცნენ თუ არა ექსპერტები სადისერტაციო ნაშრომებს. ასევე დაინტერესდა თუ რატომ არ შედგა დაწესებულებასა და ექსპერტთა ჯგუფს შორის კომუნიკაცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ექსპერტებმა მოითხოვეს დისერტაციები, მიღეს დაწესებულებისგან 16 გვერდიანი პასუხი, სადაც მოცემული იყო თუ ვინ დაიცვა დისერტაციები, თუმცა აღნიშნულ დოკუმენტს არ ახლდა არც ერთი ნაშრომი, შესაბამისად, ექსპერტებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ დისერტაციებს. რაც შეეხება კომუნიკაციას, ექსპერტებმა დაწესებულების პასუხი მიიღეს საბჭოს სხდომის განხორციელების დღეს, შესაბამისად აზრსმოკლებული იყო შეხვედრის დაგეგმვა.
საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ დააზუსტა თუ როგორ ხდება ერთ-ერთი სწავლის შედეგის გაზომვა, კერძოდ კურსდამთავრებულს აქვს სწავლების მეთოდები, ცოდნა და შეუძლია მათი დემონსტრირება.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გაზომვის საუკეთესო საშუალებაა ინდივიდუალური სემინარები, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი დეტალურად იკვლევს საკითხს, სემინარების განმავლობაში ამზადებს პრეზენტაციას, ატარებს შეხვდრებს, სადაც პრეზენტაციასთან ერთად ხდება ასევე შეკითხვების დასმა და დეტალური დამუშავება. აქედან

გამომდინარე, გარდა ცოდნისა, ხდება დოქტორანტის ვერბალური უნარების შემოწმედა და იმის დადგენა თუ რამდენად გადის ნაშრომი შედეგზე.
რაც შეეხება ,,დოქტორანტის სემინარ 3-ს", დაწესებულების წარმომადგენელა აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ საკითხთან დაკავშირებიტ განისაზღვრა ორი რეკომენდაცია, კურსის „დოქტორანტის სემინარი III" შინაარსი, დიდწილად, პოლიტიკური და ძალაუფლების თეორიების ანალიზს ასახავს. მნიშვნელოვანია კურიკულუმში ისეთი სასწავლო კურსის გათვალისწინება, რომლის შინაარსი შესაბამისი იქნება მისანიჭებელ კვალიფიკაციებთან (მაგალითად, ეკონომიკური პოლიტიკის ან საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით). დაწესებულება არ ეთანხმება აღნიშნულ რეკომენდაციას და მიჩნევს რომ მოცემული წარმოადგენს აკადემიური თავისუფლების დარღვევას. რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, სილაბუსში „დოქტორანტის სემინარი III" საჭიროა გარკვეული ცვლილებების განხორციელება, რათა სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს მესამე დონის კვალიფიკაციის მოთხოვნებთან. აღნიშნული წარმოადგენს შინაარსობრივ მითითებას. აღსანიშნავია, რომ პროგრამის დოქტორანტები არიან განსხვავებული ინტერესების მქონე და მათი თვითმიზანი არ არის პოლიტიკური თეორიის ფუნდამენტური შესწავლა და სპეციალიზაცია. რკომენდაცია მოიცავდა ლიტერატურის ცვლილებას, რასაც დაწესებულება ასევე არ ეთანმხება, რადგან ექსპერტების მიერ მითითებული სახელმძღანელო არ შეესაბამება სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს.

19:27 სთ-ზე სხდომა დატოვა ელენე ჟურავლიოვამ.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სადოქტორო საფეხურისთვის არ არის შესაბამისი საბაკალავრო საფეხურისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოების გამოყენება. აქედან გამომდინარეობა დამატებითი ლიტერატურის გამოყოფის საკითხი, ვინაიდან თუ სილაბუსის ავტორს სურს მოცემული სახელმძღვანელოს გამოყენება შეუძლია მიუთითოს დამატებითი ლიტერატურის გრაფაში.
საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ დააზუსტა საკითხი ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დაწესებულების განმარტებით პროგრამის თავდაპირველი შემოწმებისას არ გამოკვეთილა რეკომენდაცია ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა რა ნაბიჯები გადადგა დაწესებულებამ საკითხთან მიმართებით და რატომ არ ეთანმხება ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციას.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულება არ თვლის სავალდებულოს ლიტერატურის ცვლილებასა და დამატებას, რადგან კურსის მიზანი და შედეგები განსაზღვრულია და მათი მიღწევა ხდება არსებული ლიტერატურით. საბჭოს წევრმა განმარტა, რომ დაწესებულებას ასევე განსაზღვრული აქვს პროგრამის მიზნები და შედეგები და მიჩნევს, რომ მათი მიღწევა ასევე შესაძლებელი არჩევითი სასწავლო კურსებით. შესაბამისად დააზუსტა ხომ არ იკვეთება წინააღმდეგობა. როგორც არის შესაძლებელი არჩევითი სასწავლო კურსით პროგრამის მიზნის მიღწევა და როგორ ფასდება ის სწავლის შედეგები, რომლებზედაც ვერ გავა კურსდამთავრებული იმ მიზეზით, რომ სტუდენტი მას არ აირჩევს.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აკრედიტაციის საბჭომ არ გაიზიარა რეკომენდაცია ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით. შესაბამისად აღნიშნული საკითხი არ უნდა ყოფილიყო მონიტორინგის საგანი.
დაწესებულების წარმომადგეენლმა ასევე აღნიშნა, რომ არ შეიძლება სტუდენტის შესაძლებლობები დავუკავშიროთ იმას, აქვს თუ არა მას გავლილი ,,სწავლების პრაქტიკის" სასწავლო კურსი. დოქტორანტის სემინარები სრულიად უზრუნველყოფს სწავლების შედეგებზე გასვლას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:47
დასრულების დრო: 19:03

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თავისუფალი უნივერსიტეტის ,,სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 26-ე პუნქტის თანახმად 60 დღიანი ვადის მინიჭება ექსპერტთა დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 5

აკრედიტაციის დებულების თანახმად, საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა არანაკლებ 3/4-ით, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში კი დამსწრე წევრებს შორის ხმები გაიყო და საკითხის განილვა გადაიდო მომდენო სხდომისთვის.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 19:30 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თიკანაშვილი ნიკა



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
იმნაძე ნინო



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ